საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

- **ცვლილების სახეობა:**

- საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანა

- **საკითხი:**

- სახელმწიფო გერბზე, ფარისმტვირთველი ლომების ჩანაცვლება

- **რეპლიკა:**

- მე-10 მოწვევის პარლამენტს უფლებამოსილების რამდენიმე თვე ეწურება, მიზანშეწონილია საკითხი დაჩქარებული წესით განხილვა.

- **კანონის პროექტის დასაბუთება:**



ამ სფეროში სათანადოდ გათვიცნობიერებული არ ვარ, თუმცა, რამდენადაც მახსოვს ბოლო პერიოდში ნაპოვნი დავით აღმაშენებლის მონეტა ასაბუთებთა ხუთჯვრიანი სიმბოლიკის მეფის მიერ გამოყენების ფაქტს. თუ ეს ასეა, სასურველი იქნებოდა დავით აღმაშენებლის[1] დროშის სიმბოლოების დღევანდელ გერბზე გამოსახვა (მითიური ცხენ-მარტორქა)[2],

[1] დავით IV აღმაშენებელი (დ. 1073, ქუთაისი – გ. 24 იანვარი. 1125), საქართველოს მეფე 1089-1125, გიორგი II-ის ძე, ბაგრატიონთა დინასტიიდან. ერთ–ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მონარქი, მოახერხა თურქ-სელჩუკთა ქვეყნიდან განდევნდა 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვებით. მის მიერ არმიაში და მმართველობის სისტემაში გატარებულმა რეფორმებმა შესაძლებლობა მისცა ქვეყანა გაეერთიანებინა და მთელი კავკასიის მიწების საქართველოს დაქვემდებარებაში შემოეყვანა. ქრისტიანული კულტურის წამხალისებელი და თავად თავდადებული ქრისტიანი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული. "და ადგა დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვან-შა და შაჰან-შა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და ბრძანა მეფემან, ჩახერგეთ გზები უკან დასახევი! და იყო ბრძოლა, იყო დიდგორი-ძლევაი საკვირველი" - დავით IV აღმაშენებელი

[2] https://matsne.gov.ge/document/view/4368486?publication=0

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-4506/24
11.04.2024 ფურცელ 13

ფარისმტვირთველი ლომების ნაცვლად, რაც თავისთავად შინაარსობრივი ურთიერთკავშირს გაუსვამს (ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციით, დროშაზე ცხენ მარტორქასთან ერთად, ასევე გამოსახული იყო წმინდა გიორგი). ზოგადად კი - საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკაზე მიზანშეწონილია, რომ მხოლოდ ანალოგი-ისტორიული ელემენტების გამოყენება, რითაც გავუსვემთ ხაზს სახელმწიფოს რომელიმე პერიოდის სიდიადესაც. აქვე, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლები არც თუ იშვიათად გვხვდება Armenian Kingdom of Cilicia - 1080 to 1375, მათ შორის ხუთჯვრიანი დროშაც, იგი შესაძლებელია ასევე უკავშირდებდეს იერუსალიმში უფლებამოსილებების მქონე სახელმწიფოთა მითითებას ან ჯვაროსანთა მოკავშირე ქვეყნების მინიშნებას. ღია წყაროებში მოძიებული ნიმუშების გათვალისწინებით, ალტერნატივის სახით განსახილველად წარმოგიდგენთ ძველ ქართულ გერბებსაც. გთხოვთ, საკითხის მოწონების შემთხვევაში შეიტანოთ ცვლილება შესაბამის სამართლებრივ აქტებში.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ 01008015820 მობ.: 599 404424;
ელ. ფოსტა nikonikoladze@hotmail.com რეგისტრაციის
ადგილი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. 10, ბინა 43

11/04/2024

16 ოქტომბერი 2020

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 ოქ ლარის 24.00 ლარად წელიწადში

16 ოქტომბერი 2020

(1695-1762) პეტერბურგში გარდაიცვალა 1762 წლის 8 იანვარს, 61 წლის ასაკში. იგი ასტრახანში გადაასვენეს და მიძინების ტაძარში დაკრძალეს თავისი სიმამრის -ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის გვერდით.

თეიმურაზ II-ის ვაჟმა და ლეგიტიმურმა მემკვიდრემ -კახეთის მეფემ ერეკლე II-მ (1720-1798), რომელიც 41 წლისა იყო, უმეფოდ დარჩენილი ქართლი თავის სამფლობელოს შეუერთა და აღმოსავლეთ საქართველო ერთ სამეფოდ გააერთიანა.

ქართლ-კახეთში ერეკლე II-ის მეფობის ხანაში (1762-1798) სახელმწიფო გერბის არაერთი ნიმუში შეიქმნა.

ქართული გერბთმცოდნეობის ძეგლთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სრულქმნილი ნიმუშია ქართლ-კახეთის დიდი სახელმწიფო გერბი. იგი ქართულ ჰერალდიკურ სიმბოლოებთან ერთად მოიცავს მეზობელი, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ქვეყნების სიმბოლიკასაც. ამით მან განაგრძო და განავითარა ტრადიცია, რომელსაც საფუძველი ვახუშტი ბაგრატიონმა ჩაუყარა.

თორნიკე ასათიანის ნაშრომში "ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა)" მართებულად არის აღნიშნული: "კავკასიის მხარეთათვის გერბების შედგენით ვახუშტი ბატონიშვილმა დასაბამი მისცა ტრადიციას, რომლის მიხედვით, მთელი რეგიონი საქართველოს პრიორიტეტით ერთ ჰერალდიკურ სივრცედ აღიქმება. ტრადიცია გააგრძელა ერეკლე II-მ".

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვე ლარად 24.00 ლარად წელიწადში

16 ოქტომბერი 2020

1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილოეთ კავკასიაში აგებულ გეორგიევსკის ციხესიმაგრეში გაფორმდა ტრაქტატი, რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. ტრაქტატს ხელი მოაწერეს: იმპერატრიცა ეკატერინა II-ის (მეფობდა 1762-1796 წლებში) წარმომადგენელმა პავლე პოტიომკინმა და ერეკლე II-ის წარმომადგენლებმა: მისმა სიძემ -იოანე მუხრანბატონმა (რომელიც მეფის ასულ ქეთევან ბატონიშვილის მეუღლე იყო) და გარსევან ქავქავაძემ.

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვე ლარად 24.00 ლარად წელიწადში

16 ოქტომბერი 2020

+A -A

[illegible] კავალერია ანდრია პირველწოდებულისა აქვნდა მიღებულ დროსა ღიანარალ ტოტლებენისათა".

ტრაქტატს ერთვოდა ლუქის საკიდი ბეჭედი, რომელზეც გამოსახული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს იმდროინდელი გერბი-ორად გაყოფილი მართკუთხა ფრანგული ფარი. ზედა ნაწილში გამოსახული იყო რუსეთის გერბი -ორთავიანი არწივი, ხოლო ქვედა ნაწილი ოთხად იყოფოდა. მათ გადაკვეთაზე, შუაში გამოსახული იყო ფარზე აღბეჭდილი უფლის კვართი. ფარის ერთ მეოთხედში იყო ჯვრიანი სფერო, მეორეში -მეფსალმუნე მეფის დავითის ქნარი, მესამეში -გადაჯვარედინებული სკიპტრა და მახვილი, ხოლო მეოთხეში -დავითის შურდული. ფარი დამშვენებულია ორიგინალური გვირგვინით, რომელიც ჰერალდიკაში ცნობილია "ივერიული" ანუ ქართული გვირგვინის სახელით. ფარს გარს აკრავს რუსეთის უმაღლესი საიმპერიო ჯილდო -წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენი თავისი საორდენო ჯაჭვითურთ. ამ ორდენით ეკატერინა II-მ 1769 წელს დააჯილდოვა ერეკლე II.

ვახტანგ VI-ის პირადი გერბის შექმნის შემდეგ, რომელსაც მეფის კუთვნილი წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის გამოსახულება ამშვენებდა, ეს იყო მეორე შემთხვევა ამ ჯილდოს ქართულ გერბზე გამოსახვისა.

აღწერილი გერბი ზუსტად ასახავს იმდროინდელ პოლიტიკურ რეალობას -რუსეთის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოს.

ორი დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით გაფორმებული სარატიფიკაციო სიგელის ფურცლების გადანაკეცზე (ყუაში) გატარებულია ზონარი, რომელზეც ცალ-ცალკე შეკიდულია დიდი ზომის გერბიანი ბეჭედი -ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო ბეჭედი, რომლის დიამეტრია 14,5 სმ. ეს გახლავთ ანაბეჭდი წითელი ფერის ლუქზე, რომელიც ჩასმულია საგანგებოდ დამზადებულ ლითონის ყუთში.

ბეჭედზე სრული სახით არის გამოსახული ქართლ-კახეთის სამეფოს გერბი, ხოლო თვით დოკუმენტში ასევე სრულად არის წარმოდგენილი ერეკლე II-ის ტიტულატურა.

თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაბამისი

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 ოქ ლარი 24.00 ლარად წელიწადში

16 ოქტომბერი 2020

კახეთისა, ბესიკიდზე ფლობელი ბასცეს-ბასიანისა, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა".

ბეჭედზე წარმოდგენილი ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბის ცენტრში მოთავსებულია ზემოთ აღწერილი გერბი, ხოლო მის გარშემო წარმოდგენილია გერბები ამ გაერთიანებული სამეფოს საზღვრებში მოქცეული აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მხარეებისა. მათ შორის იყო როგორც უშუალოდ ქართლ-კახეთი, ასევე შემდეგი პროვინციები: 1) ქართლის სამხრეთ ნაწილში მდებარე "ბორჩალო" (რომელსაც ეს სახელი მის ტერიტორიაზე შაჰ-აბას I-ის ბრძანებით XVII საუკუნის დასაწყისში დასახლებული ერთ-ერთი თურქმანული ტომის -"ბორჩალუს" გამო დაერქვა);

2) წარსულში ზემო ქართლად წოდებული "სამცხე-საათაბაგო", იგივე მესხეთი, რომელზედაც ერეკლე II-ს, როგორც საქართველოს ერთიანი სამეფოს ყოფილ სატახტო ქალაქში -თბილისში მჯდომ ბაგრატოვან ხელმწიფეს, სავსებით კანონიერი პრეტენზია ჰქონდა;

3) კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე "კაკი", იგივე კაკ-ელისენი (წარსულში – ჰერეთი, რომელსაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის იძულებითი გამუსლიმანების შემდეგ "საინგილო" ეწოდა);

4) ქართლ-კახეთის სამეფოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სამფლობელოები (სახანო-სასულთნოები), რომლებიც ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდნენ. მათ შორის იყო ერევანი, როგორც ნაწილი ისტორიული სომხეთისა, რომელიც ერთხანს საქართველოს ერთიანი სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ასევე, განჯა, ყაზახი, შამშადილო (იგივე შამშადლუ), შაქი (იგივე შექი) და შირვანი.

იმდროინდელი ევროპის მოწინავე სახელმწიფოების ჰერალდიკურ სიმბოლიკაში არსებული წესის თანახმად, მთავარი გერბის გარშემო გამოსახავდნენ მცირე გერბებს, მონარქთა ტიტულატურის შესაბამისად.

ბაგრატიონთა გერბის გარშემო გამოსახულია უპირველესად ქართლ-კახეთის სამეფოს გერბი, ხოლო შემდეგ მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სამხრეთკავკასიური სამფლობელოების გერბები. დიდი სახელმწიფო გერბის

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვე ლარის 24.00 ლარად ნელიწადში

16 ოქტომბერი 2020



მკვლევარი თორნიკე ასათიანი წერს: "ტრაქტატის საბეჭდავზე ამოტვიფრული ბაგრატოვანთა მმართველი დინასტიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო გერბის გარშემო განლაგებულია ათი მომცრო ფარი (ოთხ-ოთხი მარჯვენა და მარცხენა ჰერალდიკური მხარიდან და ორი ქვევიდან). ისინი მეფე ერეკლეს ხელისუფლებას დაქვემდებარებულ მიწებს წარმოადგენენ, რომელთა შორის არის როგორც წმინდა ქართული მხარეები, ასევე საქართველოს მიმდებარე, ქართლ-კახეთის სამეფოს კუთვნილი, ყმადნაფიცი თუ საპრეტენზიო სამფლობელოები. ერეკლე II-მ ამ პროვინციული გერბებით, შეიძლება ითქვას, გააგრძელა ის საქმე, რომელსაც ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა დაუდო სათავე კავკასიის რუკას დართულ ემბლემატიკაში და რომელიც საქართველოს გავლენის სფეროს მონიშვნას ისახავდა მიზნად. საბეჭდავის ყოველ მცირე, სამხარეო ფარს ორიგინალური, როგორც ჩანს, ერეკლე II-ის ხანებში სამთავროების გერბთათვის განკუთვნილი გვირგვინი ადგას თავს".

იმავე მკვლევრის მოსაზრებით, ქართლ-კახეთის ზემოხსენებულ გერბში პირველ

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვე ლარად 24.00 ლარად წელიწადში

16 ოქტომბერი 2020

+A −A

[illegible] ესადაგება".

ჩვენი აზრით, აღნიშნულ გერბში ერეკლე II ვერ შეიტანდა გერბებს იმ სამფლობელოებისას, რომლებსაც რეალურად ვერ ფლობდა. ასეთთა შორის იყო მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმხანად არსებული იმერეთის სამეფო, ასევე სამეგრელოს/ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები, რომლებსაც თავ-თავიანთი მეფე-მთავრები ჰყავდა.

ერეკლე II თავისი სამეფოს გერბში ასევე ვერ მოაქცევდა გერბს ლეკ-დაღესტანისას, რომელიც არა მხოლოდ არ ექვემდებარებოდა ქართლ-კახეთის მეფეს, არამედ, მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები სისტემატურად ესხმოდნენ თავს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას.

ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, ხსენებულ გერბზე პირველ ნომრად მოყვანილი გერბი (წმინდა გიორგი) -უნდა წარმოადგენდეს ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს გერბს, ხოლო მეორე გერბი (ისრებით ჯვარედინად გახვრეტილი, ალმოდებული მთა) -სამცხე-საათაბაგოს. მართალია, ამ გერბს ძველად მიაკუთვნებდნენ საქართველოს სხვა მხარეებს, კერძოდ, XV საუკუნის მიწურულს -ჭანეთს -გრიუნენბერგის 1483 წლის საგერბეში, რომლის შესახებაც უკვე ვწერდით ("ისტორიანი", #110), ხოლო XVII საუკუნიდან -ივერიას/ქართლს (რუსეთის სახელმწიფო გერბზე, დაწყებული 1672 წლის "ტიტულიარნიკიდან"). მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მოგვიანებით სამცხე-საათაბაგოდ წოდებული ისტორიული მესხეთი ძველად მოიაზრებოდა "ზემო ქართლად", ანუ ივერიის (იმავე იბერიის) ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად.

გეორგიევსკის ტრაქტატის საბეჭდავზე წარმოდგენილ ქართლ-კახეთის დიდ სახელმწიფო გერბზე აღბეჭდილი ცენტრალური საგერბე ფარის გარშემო შემდეგი თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი გერბები, რომლებიც ჩვენი აზრით განეკუთვნება ამ გაერთიანებულ სამეფოში შემავალ ანდა მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ სამფლობელოებს (აღწერილობას გადმოვცემთ ჰერალდიკური კანონების შესაბამისად, მაყურებლისთვის მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან ქვევით):

1. ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს გერბი. მასზე გამოსახულია ცხენოსანი წმინდა გიორგი, რომელიც შუბით ლაპარაკობს გველეშაპს;

სპეციალური შეთავაზება >>

ნაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვე ერთი 24.00 ლარად ნელი ნაბეჭდში

16 ოქტომბერი 2020

[illegible] ხოლო თურქეთის რესპუბლიკის შექმნის (1923) შემდეგ, მის საზღვრებში შედის; 4. განჯის სახანოს გერბი. მასზე გამოსახულია ქრისტეშობის სცენა: თაღის ქვეშ მყოფი ღვთისმშობელი ყრმა იესოთი და თაღს გარეთ მდგარი სამი მამაკაცი. ერეკლე II-ის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, აქ გამოსახული უნდა ყოფილიყო სამი ალმოდებული მწვერვალი, რომელიც შემდეგ ბაქოს გუბერნიის გერბი იყო, ხოლო ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბია; 5. ერევნის სახანოს გერბი. მასზე გამოსახულია სევანის ტბის პირას მდგარი სამგუბათიანი მონასტერი, სავარაუდოდ -ეჩმიაძინი. მსგავსი გამოსახულება მოგვიანებით დაიტანეს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ერევნის გუბერნიის გერბზე;

6. ყაზახის გერბი. მასზე გამოსახულია შეაბჯრული ხელი, რომელსაც უპყრია მოკლე შუბი (შესაძლოა ისარი);

7. ბორჩალოს გერბი. მასზე გამოსახულია აღმოსავლური ყაიდის გაშიშვლებული მახვილი, რომელიც ირიბად არის დახრილი;

8. შამშადილოს გერბი. მასზე გამოსახულია თოფი/მუშკეტი, რომელიც ირიბად არის დახრილი;

9. შირვანის გერბი. მასზე გამოსახულია მორბენალი მგელი;

10. შაქის გერბი. მასზე გამოსახულია ცხენი.

ზემოთ აღწერილ გერბზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ერეკლე II მოგვევლინა ნოვატორად, ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკის რეფორმატორად, რომლის გადაწყვეტილებითაც ქართლ-კახეთის დიდი სახელმწიფო გერბი იმდროინდელი ევროპული ჰერალდიკური სტანდარტების შესაფერის დონეზე გაფორმდა. ამ ტრადიციის გადმოტანით მეფემ სცადა, ქართლ-კახეთის გერბს თავისი კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ევროპულ სახელმწიფოთა გერბებს შორის.

არსებობს ერეკლე II-ის სამეფო ბეჭდის სხვა ვარიანტიც, რომელიც გამოქვეყნებულია მიხაილ ვადბოლსკის შესახებ წიგნში (ილუსტრაცია #235). მასზე ოთხად გაყოფილი ფარის ზედა ერთ მეოთხედში გამოსახულია უფლის

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 [illegible] 24.00 ლარად წელიწადში

16 ოქტომბერი 2020

"Официальный государственный герб" ("Официальный дворянский" - "Герб Царства Грузинского"). ამ გერბზე, ქართული სამეფოების გერბებთან ერთად, გამოსახული იყო საქართველოს შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შემავალი კავკასიური სამფლობელოების აღმნიშვნელი სიმბოლიკაც, კერძოდ: "ყაბარდოს მიწების გერბი" ("Герб Кабардинских земель"); "სომხეთის გერბი" ("Герб Армении") და "ჩერკასკებისა და მთიელი თავადების გერბი" ("Герб Черкасских и Горских князей").

ზემოხსენებული მრავალსახოვანი გერბი (მის თაობაზე ვრცლად ვისაუბრებთ ამ წერილების ციკლის მომდევნო ნაწილში), რომელიც დამშვენებულია ბაგრატიონთა სამეფო გვირგვინით, უნიკალური ჰერალდიკური ნიმუში გახლავთ. იგი სიმბოლურად განასახიერებს ბაგრატიონთა დინასტიის ათასწლოვანი სამეფო გვირგვინის ქვეშ გაერთიანებულ სრულიად კავკასიას. ამით რუსეთის იმპერიის მესვეურებმა თავიანთ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოზე – დიდ სახელმწიფო გერბზე ოფიციალურად აღნიშნეს, რომ კავკასიაში საქართველო ტრადიციულად ჰეგემონ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

* * *

ერეკლე II-მ ხელი შეუწყო ქართული საგვარეულო ჰერალდიკის განვითარებასაც, ვინაიდან თავადაზნაურული წოდებების ბოძებასთან ერთად, იგი სათანადო საგვარეულო გერბებსაც ამტკიცებდა.

მეფის მიერ გაცემულ წყალობის სიგელებზე ზოგჯერ გერბიც გამოისახებოდა. მაგალითად, საგერბე ფარი ბაგრატოვანთა სიმბოლიკით ამშვენებს ერეკლე II-ის მიერ 1785 წლის 15 ივლისს ხელმოწერილ წყალობის სიგელს, რომელიც ებოძა ტფილელ მოქალაქეს, აზნაურ "ამბროსიანთ დავითას ძე ოჰანეზას".

სიგელში ვკითხულობთ: "მოგეცით ესე ჩვენი სამეფო მოწმობაი დანიშნებით ამას შორის ღერბი წინაპარისა შენისა, რომელი იქნება სიგრძით მგვრგვალი ფარი ვერცხლისფერი... ლოდსზედან ჯდომილი არწივი ერთი, ცალი ფეხით მდგომარე და ცალი ფეხი აწეული, რომელსა ფრჩხილით უპყრავს ეტრატი ერთი აღწერილ ესრეთ ნიჭი სამეფო ნიშნად მიღებულ სამეფო აზნაურობისა თვისისა და პირსა შინა ექნებით მასვე არწივსა რტო ზეთის ხილისა ნაყოფითურთ, ნიშნად გულუხვობისა და გარემოსა მას სვეტისასა მარჯვნით და მარცხნით აღმოცენებული რტონი ორნი ფინიკსა და დაფნასა შინად ნაყოფიერ საქმის მძღვლობისა. ესე ყოველი თაგვირგვინებულ არს აზნაურობის გვირგვინითა და

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვეში 24.00 ლარად ნელიწადში

16 ოქტომბერი 2020

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვე ლ.ა.ოს 24.00 ლარად წელიწადში

16 ოქტომბერი 2020

+A -A

სახელმწიფო და მმართველი დინასტიის გერბთა გაიგივების მანიშნებელი გახლდათ ბაგრატიონთათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ჰერალდიკური სიმბოლოების გამოსახვა თბილისის ზარაფხანაში 1765-1766 წლებში მოჭრილ სპილენძის მონეტებზე, რომლებიც გამოდიოდა შემდეგი ნომინალური ღირებულებით: შაური, ბისტი, ნახევარი ბისტი და ფული. ამ სიმბოლოთა შორის გახლდათ: სამეფო გვირგვინი, სასწორი, ჯვრიანი სფერო, კვერთხი (სკიპტრა) და ხმალი. ამ მონეტებზე ქართული მონეტების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად დაფიქსირდა ბაგრატიონთა საგვარეულო სიმბოლიკა.

აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც ბოლო პერიოდში დავადგინეთ, ერეკლე II დაბადებული იყო არა 1720 წლის 7 ნოემბერს, როგორც აქამდე ითვლებოდა, არამედ იმავე წლის 7 ოქტომბერს (იხ. აპოლონ თაბუაშვილი, ნიკო ჯავახიშვილი, მეფე ერეკლე II-ის დაბადების თარიღის დაზუსტებისათვის, თბ., 2020). ე.ი. მეფე დაიბადა სასწორის ზოდიაქოში. ჩვენი ვარაუდით, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ზემოხსენებულ მონეტებზე გამოსახული სასწორი, ბაგრატიონთა სიმბოლიკასთან ერთად, ერეკლე II-ის ასტროლოგიურ ნიშანზეც მიგვანიშნებდეს.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ სპილენძის მონეტებზე გამოსახეს ორთავიანი არწივი, რომელსაც კლანჭებით სამეფო სკიპტრა და სფერო უპყრია. იმავე ზარაფხანაში მოგვიანებით, კერძოდ, 1796 წელს მოჭრილ სპილენძის მონეტებზე ერთთავიანი არწივი გამოსახეს. აქვე უნდა აღინიშნოს, შემორჩენილია იმავე წლით დათარიღებული ოქროს ჩერვონეცის ორი ეგზემპლარი, ასევე ერთთავიანი არწივის გამოსახულებითა და სპარსული წარწერით: "იჭედა ტფილისს", რომლებიც ნუმიზმატ დავით კაპანაძეს პეტერბურგელი კოლექციონერების დაკვეთით XIX საუკუნეში დამზადებულ მონეტებად მიაჩნდა.

ქართულ მონეტებზე გამოსახული ორთავიანი არწივის (რომელიც იმუამად რუსეთის საიმპერიო გერბი იყო) ჩანაცვლებას ერთთავიანი არწივით ქართველი და უცხოელი მკვლევრები სხვადასხვანაირად ხსნიან. ამ ფაქტს ზოგი იმ ახსნას უძებნის, რომ ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულების მიუხედავად, რუსეთი მის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთს არ დაეხმარა, რომელსაც სწორედ ამ მონეტების მოჭრის წინა წელს დაესხა თავს სპარსეთის შაჰინშაჰობის პრეტენდენტ (1796 წლიდან შაჰინშაჰ) აღა-მაჰმად-ხან ყაჯარის ლაშქარი.

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვე/ლარი 24.00 ლარად წელიწადში

16 ოქტომბერი 2020

ფონტი

აქვე უნდა ითქვას, რომ თედო დუნდუას მოსაზრებით, ორთავიანი არწივის გამოსახვა ქართლ-კახეთის მონეტებზე ჯერ კიდევ ტრაქტატის დადებამდე შესაძლებელია იმის მანიშნებელი ყოფილიყო, რომ ერეკლე II, როგორც იმდროინდელ კავკასიაში უძლიერესი სახელმწიფოს მონარქი, პრეტენზიას აცხადებდა სამი საუკუნის წინათ განადგურებული ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობის თანამოზიარობაზე, რასაკვირველია, რუსეთის იმპერატორთან ერთად. ხოლო აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის შემდეგ, ერეკლე II-ს, როგორც დამარცხებულს, იგივე პრეტენზია ვეღარ ექნებოდა და როგორც ჩანს, აღარც ჰქონდა, რაც ოფიციალურად გაცხადდა მისი ბრძანებით მოჭრილ მონეტებზე ერთთავიანი არწივის გამოსახვით.

* * *

მიზეზი, თუ რატომ მიაქცია ასეთი განსაკუთრებული ყურადღება ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს ჰერალდიკურ და ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას, დადგენილი გვაქვს ჩვენს გამოკვლევაში (პირველი ქართველი ჰერალდიკოსი და ნუმიზმატი მეფე, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 2011).

1798 წლის 11 იანვარს, როდესაც ერეკლე II გარდაიცვალა, მისი პირადი ნივთების ნუსხა შეადგინეს. ეს ნუსხა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მეფე მონეტებს აგროვებდა, ვინაიდან მის საკუთრებაში აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდისა და ტიპის ათასამდე (უფრო ზუსტად -962 ცალი) ოქროს მონეტა, რომლებიც მოჭრილი იყო სხვადასხვა სახელმწიფოში, მათ შორის ბიზანტიაში, სპარსეთში, ოსმალეთში, რუსეთში, საფრანგეთში და სხვ.

სამეფო მდივნის, იოანეს მიერ შედგენილი ნუსხის მიხედვით (რომელიც გამოქვეყნდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით 1955 წელს გამოცემულ წიგნში "მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვიანფეოდალური ხანა, III, აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება"), მეფის საკუთრებაში ყოფილა შემდეგი ტიპის ოქროს მონეტები: 11 ცალი "კონსტანდინე ხელმწიფის ფოსო ოქრო", 438 -ბაჯაღლოსი, 39 -რუსული იმპერიალი, 10 -ძველი ფრანგული, 191 -ოსმალური, 2 -თავრიზული, "ხუთის მინალოთუნის ნოურუზის შაურები" (შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს ტოლოურ

სპეციალური შეთავაზება >>

წაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვე ლარად 24.00 ლარად წელიწადში

16 ოქტომბერი 2020

+A −A

[illegible] სხვა პატარა ოქრო".

რაკი ჩამოთვლილი მონეტები ერეკლე II-ის პირად ქონებას წარმოადგენდა, ეს თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს არა ოქროს ფულის ჩვეულებრივ მასასთან, რომელიც მეფეს თავისუფლად შეეძლო შეენახა სამეფო ხაზინაში, არამედ საკმაოდ მდიდარ ნუმიზმატიკურ კოლექციასთან. აქედან გამომდინარეც აიხსნება "პატარა კახის" განსაკუთრებული დაინტერესება ჰერალდიკითა და ნუმიზმატიკით.

* * *

ამდენად, სახელმწიფო გერბის ფრიად საყურადღებო ნიმუშები ევროპული ჰერალდიკური კანონების გათვალისწინებით შეიქმნა გაერთიანებულ ქართლ-კახეთში ერეკლე II-ის მეფობისას. ამავე პერიოდში ბაგრატიონთა საგვარეულო გერბმა სრულად შეითავსა სახელმწიფო გერბის ფუნქცია. მეფის ნოვატორობა და სწრაფვა ევროპული ცივილიზაციისკენ გამოსჭვივის მისი მეფობისას შექმნილი ქართული ჰერალდიკური და ნუმიზმატიკური ძეგლებიდან.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ჟურნალი "ისტორიანი" #113

f

მკითხველის კომენტარი (0)

კომენტარი ჯერ არ გაკეთებულა.
იყავი პირველი!

გააკეთე კომენტარი

sponsored by ContentRoom

სპეციალური შეთავაზება >>

ნაიკითხე გაზეთის ყველა მასალა შეუზღუდავად
48 თვე ლარად 24.00 ლარად წელიწადში

ძველი ქართული გერბები

23.06.2011

მშობლიურ გერბთმცოდნეობასთან დაკავშირებულ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ საისტორიო წყაროებს ქრონოლოგიური რიგის მიხედვით თუ განვიხილავთ, უპირველესი ადგილი ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში გამოცემულ პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებს ერგება. ეს არის ჩვენ მიერ დოკუმენტად წოდებულ წყაროთა ნაშრომი: 1704 წელს გამოცემული სამოციქულო, 1710 წელს დაბეჭდილი კონდაკი და 1712 წელს გამოცემული "ვეფხისტყაოსანი". თითოეულ მათგანზე აღბეჭდილია თავად ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი ბაგრატიონების სამეფო დინასტიის გერბი და კომპოზიციის განმმარტავი რამდენიმესტროფიანი ლექსი.

როგორც თორნიკე ასათიანის წიგნში "ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა)" ვკითხულობთ, მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წელს შედგენილი კავკასიის ატლასს დართული გერბების კრებული. საგერბე გამოსახულებანი ატლასის შემდეგ რუკებზე არის დატანილი: პირველი ატლასი, 1735 წელი - რუკა სამეფო იბერიისა ანუ ყოვლისა საქართველოსი, სამცხე-საათაბაგოს რუკა, ქართლის რუკა, კახეთის რუკა, რუკა საუფლოსა მოვაკანისა ანუ შირვანისა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება ერეკლე II-ის მიერ გაცემული სათავადო ტიტულისა და ამასთან ერთად საგვარეულო გერბის ბოძების სიგელები, რომლებიც თავისი უნიკალურობით უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ჰერალდიკისთვის. ერეკლე II-ის ეპოქას, 1783 წლის ტრაქტატს უკავშირდება და მატერიალურ წყაროთა ტიპს მიეკუთვნება ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის ერეკლესეული საბეჭდავი მასზე ამოტვიფრული სახელმწიფო და სამხარეო გერბებით. სწორედ ეს უკანასკნელი ხდის წყაროს გამორჩეულს, ვინაიდან ე.წ. სამამულო, ადგილობრივი, საადგილმამულო, სამიწო, იგივე სამხარეო და საქალაქო ქართული გერბები ძლიერ მცირე რაოდენობით მოგვეპოვება.

ამავე ხანის, ოღონდ სრულიად განსხვავებული სახით - ნუმიზმატიკურ წყაროებს განეკუთვნება ერეკლე II-ის მიერ შემოღებული მონეტები ბაგრატოვანთა გერბში შემავალი დეტალებით და თბილისში მოჭრილი მონეტები მათზე აღბეჭდილი საინტერესო სიმბოლიკით - სავარაუდოდ, შავარდნის და ხოხბის გამოსახულებით.

***

კიდევ უფრო გავრცელდა ქართული გერბები რუსეთში XVIII საუკუნის დასაწყისიდან ამ ქვეყანაში ვახტანგ VI-ის გამგზავრების შემდეგ. თვით რუსეთშიც, პეტრე I-ის მოღვაწეობიდან გამომდინარე, მოცემულ პერიოდში ჰერალდიკამ საკმაოდ ფართოდ მოიკიდა ფეხი. ამ ფონზე ვახტანგის თანმხლებთაგან შემდგარი ახალი ქართული დიასპორის წარჩინებულმა ნაწილმა იმპერიის სათავადო ტიტულთან ერთად გერბებიც დაიბევა. ქართული და აგრეთვე რუსული საგვარეულო ჰერალდიკის ეს ადრეული ნიმუშები მრავლად არის დაფიქსირებული სანკტ-პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრის ნეკროპოლისში ჩვენს თანამემამულეთა საფლავის ქვებზე. იმავე ხანის მატერიალური წყაროა ასტრახანში განსვენებული ვახტანგ VI-ის საფლავის ქვაზე აღბეჭდილი ბაგრატიონთა გერბიც.

ქართული გერბები არის გამოსახული ასევე XVIII საუკუნის შუა წლებში რუსეთში - პეტერბურგსა და მოსკოვში გამოცემულ ქართულ წიგნებზე. მათზე, როგორც წესი, ან ბაგრატიონთა საგვარეულო სიმბოლიკა, ან ამილახვართა გერბის უძველესი ვარიანტია აღბეჭდილი. სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟში დაცულია რუსეთის სახელმწიფო ალმის 1742 წლის ჩანახატი, რომელზეც სხვა გამოსახულებებთან ერთად ქართული გერბებიც არის

მუდმივი კალენდარი

წელი | დღესასწაული:
ყველა დღესასწაული
გამოთვლა | გაუქმება

საეკლესიო კალენდარი

ძველი სტილით | ახალი სტილით

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

აპრ

ჟურნალი



ანონსი - 30.05.2024

ჟურნალის ბოლო ნომრები:

№24 (241) - 21.11.2013

არქივი

დღის სიახლე

აღბეჭდილი. თვით იმპერიის დიდი სახელმწიფო გერბი საბოლოოდ ოფიციალურად 1800 წელს გაფორმდა პავლე I-ის სპეციალური მანიფესტის საფუძველზე. მანიფესტი მდიდრულად არის გაფორმებული და მასში, ბუნებრივია, ქართლის მიწების გერბებიც არის შეტანილი. შემდეგშიც საქართველოსა და მისი მხარეების გერბები 1917 წელს იმპერიის კრახამდე მუდამ ფიგურირებდა სახელმწიფო სიმბოლიკაში.

***

საქართველოს სამეფო გერბი ოფიციალურად XVII საუკუნის II ნახევრიდან, 1672 წლიდან დასტურდება. იმხანად საქართველოს სახელმწიფო გერბს გველეშაპის განმგმირავი წმინდა გიორგის ფიგურა განასახიერებდა. იგი ორ წყაროშია დაფიქსირებული: ეს არის მეფე ალექსეი მიხეილის ძის 1672 წლის "ტიტულარნიკი" (ფაქტობრივად უძველესი რუსული საგერბე), რომელშიც ჩამოთვლილია რუსეთის მეფის მფლობელობაში მყოფი მიწები სიმბოლოებითურთ. მათ შორის არის "ქართლის მეფეების" გერბიც. მასში გამოსახულია მარცხენა არაჰერალდიკურ მხარეს შებრუნებული, ცხენზე ამხედრებული, შეაბჯრული წმინდა გიორგი, მკერდზე თეთრი ჯვრით, რომელიც შუბით კლავს გველეშაპს.Mმეორე საბუთი არის მეფე ფიოდორ ალექსის ძესთან წარგზავნილი რომის საღვთო იმპერიის დესპანის, ავსტრიელი დიპლომატის კორბის 1698-1699 წლებით დათარიღებული დღიური.

ქართულ ჰერალდიკაში, სახელმწიფო გერბის ქრონოლოგიურ რიგში, მეორე ადგილზე დგას ვახტანგ VI-ის მიერ შემუშავებული საქართველოსა და ბაგრატიონთა მმართველი სამეფო დინასტიის რამდენიმე განსხვავებული ვარიანტის სახით შემორჩენილი საგერბე კომპოზიცია. მისი უძველესი ნიმუში 1709 წლს თბილისის სტამბაში გამოცემულ სამოციქულოში გვხვდება. იმხანად გიორგი XI ირანის დროშის ქვეშ იბრძოდა ავღანეთს. ამის გამო თბილიში სამეფო გერბი მხოლოდ ვახტანგ VI-ის მიერ თუ შეიქმნებოდა.

ქართლ-ჯახეთის მეფის, ერეკლე II-ის გერბი

ქართული ორნამენტით გარემოცულ კვადრატულ ფარში ოთხ ფრთოსან ანგელოზს სახელურებით უპყრია მცირე, მრგვალი ბიზანტიური ფარი, რომლის ცენტრშიც მაცხოვრის კვართია (იგი ასახავს ცნობას, რომლის მიხედვითაც ქრისტეს კვართი სვეტიცხოვლის საძირკველშია დაფლული). კვართის მარჯვნივ ბიბლიური მეფსალმუნე მეფე დავითის ქნარია, მარცხნივ - მისივე შურდული. ეს ფიგურები გამოხატავენ ცნობილ დინასტიურ ლეგენდას, რომლის მიხედვითაც ბაგრატიონები ისრაელელთა ბიბლიური, მეფსალმუნე (ქნარი) და გოლიათის მძლე (შურდული) მეფე დავითის შთამომავალნი არიან. ფარის დაბოლოებაში მოთავსებულია სიასამურის ბეწვი მომცრო ჯვრით. ჩასმულ ფარს თავზე გვირგვინი ადგას, მარჯვნივ და მარცხნივ კი, შესაბამისად, სამეფო რეგალიები - ხმალი და სკიპტრაა განთავსებული, ხოლო ქვევით - ჯიქი. გერბი ორნამენტების სიუხვით გამოირჩევა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფარზე დატანებული ქარაგმები: პერანგის თავზე - ქრისტეს კვართი, ქნარსა და შურდულს ზემოთ - დავითის ქნარი და დავითის შურდული. კვადრატის თავისუფალ ადგილებში შემდეგი ასეობი ამოიკითხება: წ, ღ, დ, ჰ, მ, გ, ყ, ს. მარი ბროსემ ეს ამგვარად გაშიფრა: "წყალობითა ღვთისათა, დავითიან-პანკრატიონი მეფე გიორგი ყოვლისა საქართველოსი".

ცნობილია აგრეთვე თავად ვახტანგ VI-ის პირადი გერბიც: ანდრია პირველწოდებულის ორდენის ჯაჭვით გარშემორტყმულ მრგვალ ფარში ჩასმულია მცირე მართკუთხა ფარი, რომელიც ორ ლომს უჭირავს. მასში მაცხოვრის კვართია გამოსახული. მცირე ფარის თავზე გადაჯვარედინებული ხმალი და სკიპტრაა, უფრო მაღლა კი სამეფო გვირგვინი, მის მარჯვნივ - ქნარი, ხოლო მარცხნივ - შურდული. მრგვალი ფარის დაბოლოებაში, მარჯვნივ გამოხატულია უმაღლესი სამეფო ხელისუფლების სიმბოლო - სფერო, მარცხნივ კი სასწორი - სოლომონ მეფის ბრძნული მართლმსაჯულების ნიშანი. ვინაიდან ვახტანგ VI-ის

ჩემი ცხრა აპრილი

შეხე, დედილავ, ამ განწირულ ყმაწვილკაცობას, ისე მიდიან სასიკვდილოდ, როგორც დღეობას

ოცი წელი გავიდა მას მერე. ბედნიერი კაცი ვარ, რადგან მაშინ, როცა ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობა იჭედებოდა, ამ ბრძოლაში მეც ერთი ჯარისკაცი ვიყავი.

"ძიძაზე თავიდანვე უარი ვთქვი... ჩემს შვილს ვასწავლი, რომ შრომა

სად გადის ზღვარი ბავშვის სიცელქესა და ქცევის დარღვევას

"ჩემი გატაცება უნდოდათ, სამი მანქანა ამეკიდა..." - რას ჰყვება

"მინდა, რომ სკოლიდან გამომაგდონ, ბაღში დაბრუნება მინდა" -

ჟურნალი "კარიბჭე"...

Follow Page 176K followers

პირადი გერბის წარმოშობის თარიღზე ცნობა არ მოგვეპოვება, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი 1724-37 წლებში შეიქმნებოდა.

XVIII საუკუნის დასაწყისშივე ვახუშტი ბაგრატიონის ატლასში წმინდა გიორგის გამოსახულება, ბაგრატოვანთა საგვარეულო სიმბოლიკა და კიდევ ერთი ემბლემა - მიქაელ მთავარანგელოზი ერთდროულად წარმოგვიდგება საქართველოს სახელმწიფო გერბად.

1735 წლის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შეგდენილ კავკასიის რუკას დართული აქვს მასზე აღბეჭდილი მხარეების და ქვეყნების გერბები. მათ შორის არის საქართველოს სამი გერბი. პირველი - "საქართველოსი": ყვითელი ფონის პირობით ფარში მწვანეუნაგირიან, წითელბალნირიან თეთრ ცხენზე ამხედრებული, წითელაბჯრიანი და მწვანემოსასხამიანი, შარავანდით მოსილი წმინდა გიორგი შუბით კლავს ცისფერ გველეშაპს. მხედარს მარცხნიდან თეთრი "ღვთის ხელი" წითელ გვირგვინს ადგამს.

მეორე - "სამეფო-კვართიან-დავითიან საქართველოსი": მწვანე ფონზე ორ ვარდისფერ ლომს მართკუთხა გადაკეთებული ფარი უპყრია. ზემო მარცხენაში - ბიბლიური დავითის ქნარი; ქვემო მარჯვენა ნაწილში - დავითისვე შურდული, ხოლო ქვემო მარცხენაში - სამეფო ხელისუფლების ამსახველი, ირიბად გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი (ყველა ფიგურა ყვითელია).

მესამე - "საქართველოსი" (მიქაელ მთავარანგელოზიანი): ყვითელ ფონზე ხმლიანი, წითელ-ყვითელ სამოსიანი ანგელოზი თეთრი ფრთებით და წაღებით, მახვილი და შარავანდი, შესაბამისად, ვარდისფერი და ყვითელია, ქარქაში კი შავი.

***

"ქართლის ცხოვრების" მიხედვით, დავით აღმაშენებელი მთავარანგელოზის ხატს გადაურჩენია. ვახუშტი ბატონიშვილის ატლასის გარდა, მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულება XII საუკუნით დათარიღებული სვანური დროშის "ლემის" ვერცხლის ბუნიკზეც გვხვდება, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, სვანეთის თემებს თამარ მეფემ უბოძა.

ერეკლე II-ის მეფობაში ბაგრატიონთა გერბი უკვე სრულად ითავსებს სახელმწიფო სიმბოლოს ფუნქციებს. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს დართულ ლუქის საკიდ ბეჭედზე გამოსახული საქართველოს სახელმწიფო გერბი: მართკუთხა, ფრანგული ფარი ორად არის გაყოფილი. ზევით, რუსეთის ორთავიანი არწივია. ქვედა ნაწილში გაკვეთილ-გადაკვეთილია, მის შუაში კი მომცრო ფარია მაცხოვრის კვართით. პირველ მეოთხედში სფეროა, მეორეში - გოლიათის მძლე მეფსალმუნე მეფე დავითის ქნარი, მესამეში - გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, მეოთხეში - იმავე ბიბლიური დავითის შურდული. გარს არტყია ეკატერინე II-ის მიერ ერეკლე მეფისადმი 1769 წელს ბოძებული წმინდა ანდრია პირველწოდებულის ჯაჭვიანი ორდენი. გერბს თავს ადგას ორიგინალური ქართული გვირგვინი. იგი მხოლოდ დიდ სახელმწიფო არწივზე (რუსეთის ძირითადი გერბი) მოთავსებულ საქართველოს სამეფოს გერბის დამაგვირგვინებლად იხმარებოდა.

***

1851 წლის საქართველოს - იმერეთის გუბერნიის ნიკოლოზ I-ის მიერ დამტკიცებული გერბი ასე გამოიყურებოდა: ოქროსფონიანი ფარი ოთხადაა გაყოფილი. ზედა ორ ნაწილში გამოსახულია: მარჯვნივ არარატის მთა მწვერვალზე მოსეს კიდობნით; მარცხნივ - ტალღისებრი ქამრით გამოსახული შავი ზღვა. ქვედა ორ ნაწილში განლაგებულია: მარჯვნივ ორი დაკლაკნილი ზოლი - მდინარეები მტკვარი და არაქსი; მარცხნივ - მყინვარწვერის დათოვლილი მწვერვალი, მთავარი ფარის შუაში მოთავსებულია მცირე ფარი, რომელშიც ვერცხლის ფონზე წმინდა გიორგის ხატია ჩასმული.

***

საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წლები) 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს რესპუბლიკის გერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. 1990-იან წლებში საქართველომ ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად ეროვნულ სიმბოლოდ 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი გერბიც აღადგინა.

სტატიის ავტორი: *თეა ცაგურიშვილი*

გერგეტის სამებიდან გზა ბეთლემისა და მყინვარწვერისკენ მიდის

16.07.2022

ჭეშმარიტად, მხოლოდ ღვთის მაძიებელი ადამიანი თუ შეძლებდა, ამ კლდეში სამლოცველო გამოეკვეთა.

უკრაინაში უდანაშაულო ხალხის, ბავშვების ტირილი, სისხლი იღაღადებს ღვთის წინაშე

31.03.2022

არქიმანდრიტი ილიას (თოლორაია) ფეისბუქგვერდზე ვკითხულობთ:

-კაენმა,როდესაც აბელი მოკლა,

არქიმანდრიტი სოფრონი (სახაროვი) - იხილეთ ღმერთი, როგორიც არის

16.03.2022

უხუცესი არქიმანდრიტი სოფრონი (სახაროვი)

წინასიტყვაობა. სიკვდილის ცოდნის მადლი (ნაწილი 1)
წინასიტყვაობა. სიკვდილის ცოდნის მადლი (ნაწილი 2)
ღვთისმოშიშების შესახებ
სინანულისა და აღსარების შესახებ (ნაწილი 1)
სინანულისა და აღსარების შესახებ (ნაწილი 2)
სინანულისა და აღსარების შესახებ (ნაწილი 3)
აღსარებისა და სულიერი ბრძოლების შესახებ

© 2014 PRIVACY POLICY
Developed By WEBSOLUTIONS

TOP.GE 57841598 139700 58593

GEOGRAPHY HISTORY

Armenian Kingdom of Cilicia on medieval European maps

ADMIN / OCTOBER 13, 2019 / ARMENIAN KINGDOM OF CILICIA AUTOGRAPH, CILICIA, CILICIAN ARMENIA / 1 COMMENT / 7705 VIEWS



The Armenian Kingdom of Cilicia was established during the High Middle Ages amid fierce religious wars by the Rubenid dynasty, an offshoot of the larger Bagratid family, which at various times had held the thrones of Armenia and Georgia. Their capital was originally at Tarsus, and later became Sis.

Cilicia was a strong ally of the European Crusaders, and saw itself as a bastion of Christendom in the East. It also served as a focus for Armenian nationalism and culture, since Armenia proper was under foreign occupation at the time. Cilicia's significance in Armenian history and statehood is also attested by the transfer of the seat of the Catholicos of the Armenian Apostolic Church, spiritual leader of the Armenian people, to the region.

Its special relation with the Crusaders was described by Pope Gregory XIII in his Ecclesia Romana:

> *"Among the good deeds which the Armenian people has done towards the church and the Christian world, it should especially be stressed that, in those times when the Christian princes and the warriors went to retake the Holy Land, no people or nation, with the same enthusiasm, joy and faith came to their aid as the Armenians did, who supplied the Crusaders with horses, provision and guidance. The Armenians assisted these warriors with their utter courage and loyalty during the Holy wars."*

Support PoA

SEARCH

Search Now

INSTAGRAM FEED

peopleofarofficial

of Armenian castle-building, learned from Armenian masons in the Crusader states, as well as some elements of church architecture. Most Armenian castles made atypical usage of rocky heights, and featured curved walls and round towers, similar to those of the Hospitaller castles Krak des Chevaliers and Marqab.

Cilician Armenia had a thriving economy, with the port of Ayas serving as a center for East to West trade. Marco Polo on his travels to the east passed through Cilicia and spoke of Ayas in his renowned book, *The Description of the World* as:

> *"a city of good and great and of great trade"*



Marine map of the North-East Atlantic Ocean, the Mediterranean Sea, the Black Sea and the Red Sea 1400 A.D.



Marine map of Angelino Dulcert 1339 A.D.

PEOPLEOFAR PLAYLIST

Ruri

MINI POST

Rare coin of Tigranes IV and Queen Erato with mount Ararat on the reverse

SUBSCRIBE TO BLOG VIA EMAIL

Enter your email address to subscribe to this blog and receive notifications of new posts by email.

Email Address

Subscribe

Join 1,299 other subscribers

SOCIAL MEDIA

PeopleOfAr

Follow Page 15K followers

POPULAR RECENT

The Six Pointed Star of Armenia

JANUARY 14, 2012

True Story of a Real life Superhero: Shavarsh Karapetyan

FEBRUARY 8, 2014

Ancient Egyptians were closer to Armenians than to Africans; a new genetics study reveals

JUNE 5, 2017



Marine map of Guillmus Soleri 1380 A.D.



Marine map of Gabriel Devallsecha 1447 A.D.



DECEMBER 17, 2014

RANDOM POSTS

Onnig Cavoukian

OCTOBER 21, 2011

What Was The True Shape Of The Ancient Armenian Crown?

MAY 29, 2015

Armenian kickboxers score major victories

OCTOBER 14, 2019

The Forgotten hero: Captain Jim Chankalian

JANUARY 18, 2014

RECENT COMMENTS

Galambo { An investigation by radiophysicist Paris Herouni and his research team in 1994–2001... }

Brooke { i look like the second Georgian woman }

xdsfae { Evil men's religions who took over Grandmothers' peaceful cave life. }

Sona Matevosyan { Hi! Thank you for this article! Very interesting snd very... }

Older »

CATEGORIES

Select Category

ARCHIVES

Select Month

Map of Petrus Roselli 1462 A.D.



Map of Petrus Roselli 15th c.



Atlas from the 14th century attributed to Abraham Cresques (1375 A.D.)



Portolan chart attributed to Angelino Dulcert mid 14th c



Modern reproduction of a 14th century Catalan Atlas

PREVIOUS ARTICLE
A new feature film about the life of Komitas

NEXT ARTICLE
Armenian kickboxers score major victories

RELATED POSTS





Marco Polo about Greater

HISTORY SCIENCE CULTURE ART RELIGION NEWS PEOPLEOFAR STORE

Historic videos about Armenia
JULY 8, 2018

JUNE 5, 2015

SEPTEMBER 24, 2013

Subscribe

Join the discussion

1 COMMENT

Oldest

Anni Azirian 4 years ago

Sorry, not a discussion but a request for more information. Could you send a bibliography of the start of western Armenia, or Giligia? Were Armenians there already or did they come west from eastern Armenia?

0 Reply

GEOGRAPHY HISTORY

Armenian Kingdom of Cilicia on medieval European maps

ADMIN / OCTOBER 13, 2019 / ARMENIAN KINGDOM OF CILICIA AUTOGRAPH, CILICIA, CILICIAN ARMENIA / 1 COMMENT / 7705 VIEWS



The Armenian Kingdom of Cilicia was established during the High Middle Ages amid fierce religious wars by the Rubenid dynasty, an offshoot of the larger Bagratid family, which at various times had held the thrones of Armenia and Georgia. Their capital was originally at Tarsus, and later became Sis. Cilicia was a strong ally...

READ MORE »

HISTORY SCIENCE CULTURE ART RELIGION NEWS PEOPLEOFAR STORE

Facebook Twitter Youtube Instagram Reddit

ABOUT PEOPLEOFAR

This blog is dedicated to Armenian culture, history and everything else Armenia related. PeopleOfAr is set on a journey of self education, sharing of knowledge and pursuit of hidden Armenian cultural "treasures", all in the spirit of academic integrity. Welcome to PeopleOfAr!

CATEGORY POSTS

The Return and Cosmic Warriors (Posters)

APRIL 27, 2020

Dreams of Armenia [Video]

JUNE 10, 2019

SUBSCRIBE TO BLOG VIA EMAIL

Enter your email address to subscribe to this blog and receive notifications of new posts by email.

Email Address

Subscribe

Join 1,299 other subscribers

PEOPLEOFAR
KNOW WHO YOU ARE

PeopleOfAr - all rights reserved © Copyright 2014.